

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული
თავდაცვის აკადემიის განვითარების სტრატეგია

2021-2027 წწ.

თავი I შესავალი

1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) სტრატეგიული განვითარების ხედვას 2021-2027 წლებისთვის.
2. სტრატეგიული განვითარების ხედვა შემუშავდა აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის მიერ და საფუძვლად დაედო საქართველოს თავდაცვისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტები.¹
3. აკადემიის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში განხილული და მოდიფიცირებული იქნა აკადემიის სტრატეგიული განვითარების ხედვა.
4. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს აკადემიის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს, მიზნებსა და მათი განხორციელების ინდიკატორებს კონკრეტულ ვადებში. სტრატეგია ეფუძნება აკადემიის ძირითად ღირებულებებს, ფასეულობებსა და ინტერესებს, აღწერს არსებულ ვითარებას და ამასთანავე, ხელს უწყობს აკადემიის განვითარების პროცესში გამოვლენილი გამოწვევების გადალახვას. აკადემიაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა (შემდგომში - სამინისტრო) და საქართველოს თავდაცვის ძალების მოთხოვნებზე ორიენტირებით, მაღალკვალიფიციური პერსონალის შენარჩუნებითა და მოზიდვით, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებით, აკადემია მიზნად ისახავს გახდეს მაღალი დონის, პრესტიჟული სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულება შესაბამის საგანმანათლებლო სივრცეში.
5. წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს აკადემიის ხედვას, მისიას, განვითარების პრიორიტეტებსა და სამწლიანი სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციას. დოკუმენტი წარმოადგენს გზას აკადემიის პრიორიტეტული მიზნების განსახორციელებლად 2027 წლის ჩათვლით.

თავი II სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმი

1. აკადემიამ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, გამოიყენა სტრატეგიული დაგეგმვის სხვადასხვა მეთოდოლოგია. სტრატეგიული დაგეგმვის მთავარ ორიენტირად აკადემიის პირადი შემადგენლობის მაქსიმალური ჩართულობა განისაზღვრა. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს:
 - ა) ინფორმაციის შექმნა და ანალიზი;
 - ბ) ხედვისა და ღირებულებების გადახედვა/შემუშავება;
 - გ) სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება;
 - დ) სამოქმედო გეგმის შემუშავება;
 - ე) გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

¹ (თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა; მინისტრის დირექტივები; თეორი წიგნი; თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელო; განათლების კონცეფცია)



2. ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი

სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი მოიცავს აკადემიის პირადი შემადგენლობის, ბენეფიციარებისა და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვებას აკადემიის შიდა პროცესების და ხედვის შესახებ, ამ ეტაპზე ხდება ასევე აკადემიის სამოქმედო დოკუმენტაციის დამუშავება. ინფორმაციის შეგროვებისათვის გამოყენებულ იქნა თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (ანკეტირება, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და სხვა).

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარდა არსებული მდგომარეობის ანალიზის ფაზა, რომელიც მოიცავს, როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებს. პირველი ეტაპის ბოლოს განხორციელდა არსებული მდგომარეობის ანალიზის განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან და უკუკავშირის მიღება. არსებული მდგომარეობის ანალიზისათვის გამოყენებული იქნა SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხეები) ანალიზი.

3. ხედვისა და ღირებულებების გადახედვა/შემუშავება

არსებული მდგომარეობის ანალიზზე დაყრდნობით ხდება არსებული ხედვისა და ღირებულებების გადახედვა/შემუშავება. მოცემულ ეტაპზე განხორციელდა ინსტიტუციის როლისა და განვითარების ხედვის გააზრება, უმაღლესი განათლების სფეროში არსებულ მიზნებთან თანხვედრაში მოყვანა, ადგილობრივ და საერთაშორისო მოთხოვნებთან მისი სინქრონიზაცია. პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია აკადემიის მმართველობა, საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბი, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სამხედრო ინსტრუქტორებთან, იუნკერებთან/მსმენელებთან, ზემდგომ ხელმძღვანელობასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების შედეგად მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებით აყალიბებს ხედვისა და ღირებულებების საბოლოო რედაქციას.

4. სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება

აკადემიის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, სამინისტროს მოთხოვნისა და დასაქმების ბაზარზე არსებული ტენდენციების შესაბამისად, ასევე უმაღლესი განათლების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით, აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს განვითარების სტრატეგიული მიზნების სამუშაო ვერსიას, რის შემდეგაც უზრუნველყოფს მათ საჯარო განხილვასა და უკუკავშირის შეგროვებას. უკუკავშირის საფუძველზე, განხორციელდება სტრატეგიული მიზნების საბოლოო ვერსიის შემუშავება და ამოცანების განსაზღვრა/ფორმირება. ამოცანების ფორმირების შემდეგ დაიწყება საჯარო განხილვების ახალი ციკლი, რომლის შემდეგაც ჩამოყალიბდება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების საბოლოო რედაქციის ფორმირება. სტრატეგიული განვითარების გეგმის საბოლოო ვერსიის განხილვა მოხდება აკადემიის აკადემიურ

საბჭოზე, რომელიც შემდგომი დამტკიცების მიზნით გადაეგზავნება საქართველოს თავდაცვის მინისტრს.

5. სამოქმედო გეგმის შემუშავება

სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე დაყრდნობით ხდება პრიორიტეტების იდენტიფიცირება და სამწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტის ფორმირება. სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა აუცილებლად უნდა მოიცავდეს საქმიანობის ჩამონათვალს, პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს, ვადებსა და გაზომვად ინდიკატორებს.

6. შესრულების მონიტორინგის მექანიზმები:

ა) აკადემიის საქმიანობის, აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმის ეფექტური და მაღალხარისხიანი განხორციელების შეფასება და მონიტორინგი, ასევე რელევანტურობის განსაზღვრა სისტემური და დისციპლინირებული პროცესია, რომელიც უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას აკადემიის საქმიანობის შესახებ. მონიტორინგისა და შეფასების ობიექტური და მონაწილეობითი სისტემა აკადემიის ხელმძღვანელობის საქმიანობისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვების საშუალებაა. მონიტორინგი ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული პირისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას და ყურადღების კონცენტრირებას იმ მიზნების განხორციელებაზე, რომლებიც მნიშვნელოვანია აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარებისთვის. ინფორმაცია აკადემიის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს ორი ძირითადი პროცესის განხორციელებით - მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგის შედეგად შემოწმდება დროთა განმავლობაში მიღწეული პროგრესი. შემდგომ ეტაპზე კი მოხდება სტრატეგიული გეგმის განხორციელების პროცესისა და მიღებული შედეგების მაქსიმალურად ობიექტური შეფასება, აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული მონიტორინგის ჯგუფის მიერ. მონიტორინგის მექანიზმები მორგებული უნდა იყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობის სპეციფიკას და აუცილებლად მოიცავდეს მონიტორინგის პერიოდულობას, მონიტორინგის მეთოდებს, ინფორმაციის მოთხოვნისა და მიწოდების პროცესში მხარეთა ვალდებულებებსა და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების შესაძლო ფორმებს.

მონიტორინგის და შეფასების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა.ა) მონაცემთა შეგროვება - მონაცემთა შეგროვების სტადიაზე შემფასებელი (მონიტორინგის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულიდან გამოითხოვენ, აგროვებს/აგროვებენ იმ დოკუმენტებს/ინფორმაციას, რომელიც მითითებულია გეგმაში კონკრეტული ამოცანის/აქტივობის შესრულების ინდიკატორის ველში;

ა.ბ) შეგროვებული მონაცემების ანალიზი - ამ ეტაპზე ხდება მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი და დგინდება რამდენად შეესაბამება განხორციელებული საქმიანობა გეგმის ინდიკატორებს, შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში ხდება შესაბამისი რეაგირება, დასახული მიზნების სრულყოფილად მიღწევისათვის. პრობლემების გამოვლენისას, რომელიც გამოწვეულია ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის/პირისაგან დამოუკიდებელი გარემოებებით, აუცილებელი ხდება გეგმის ამოცანების, აქტივობების, შესრულების ვადების, რესურსების ან პასუხისმგებელი პირის ველში ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად რომელ ველში იქნება საჭირო ცვლილებების შეტანა ჩამოთვლილთაგან დამოკიდებულია პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე;

ა.გ) მონიტორინგის ჯგუფის ფორმირება - აკადემია ვალდებულია განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი. ამ მიზნით, აკადემიის

აკადემიური საბჭოს დადგენილებით განისაზღვრება მონიტორინგის ჯგუფის წევრები და მათი ფუნქციები;

ა.დ) ანგარიშის წარდგენა - მონიტორინგის ჯგუფი აკადემიის აკადემიურ საბჭოს წელიწადში ორჯერ (სემესტრულად) წარუდგენს ანგარიშს სტრატეგიული განვითარებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულების შესახებ, ინდიკატორების მიხედვით. აკადემიის აკადემიური საბჭო საჭიროების შემთხვევაში ახდენს შესაბამის რეაგირებას;

ა.ე) ცვლილებების განხორციელება - სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია აკადემიის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების ან/და სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე.

თავი III აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები

1. აკადემიის მისია

აკადემიის მისიას წარმოადგენს ქვეყნისა და საქართველოს თავდაცვის ძალებისათვის ღირსეული, მაღალი ეთიკის, მტკიცე მორალისა და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსის მომზადება, რომელთაც აქვთ სამხედრო და აკადემიური უმაღლესი განათლება.

2. აკადემიის ხედვა

დემოკრატიული, ძლიერი და წარმატებული სახელმწიფოს მშენებლობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამინისტროს სისტემის დაკომპლექტება საუკეთესო განათლების მქონე, მაღალკვალიფიციური და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ოფიცერთა შემადგენლობით. აკადემია მომავალი წლების განმავლობაში უნდა გახდეს რეგიონში ერთ-ერთი მოწინავე, კონკურენტუნარიანი უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მაღალ დონეზე, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, შეძლებს კვალიფიციური სამხედრო მოსამსახურეთა მომზადებას, დააკმაყოფილებს საქართველოს თავდაცვის ძალების მოთხოვნებს და უპასუხებს მის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

3. აკადემიის საქმიანობა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:


- ა) სამშობლო;
- ბ) ღირსება;
- გ) ერთგულება;
- დ) სიმამაცე;
- ე) პატივისცემა;
- ვ) პატიოსნება;
- ზ) უანგარო სამსახური;
- თ) მოვალეობა.

თავი IV არსებული მდგომარეობის ანალიზი

1. აკადემიის სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგი სქემის მიხედვით:



აკადემიის სტრუქტურა



2. არსებული მდგომარეობის აღწერა

სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ისტორია საქართველოში 1918 წლიდან - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან იწყება. მას შემდეგ, რაც 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, დღის წესრიგში დადგა ოფიცერთა ეროვნული პერსონალის მომზადების საკითხი. საქართველოს რესპუბლიკის და ეროვნული საბჭოს მთავრობის მიერ 1918 წლის 20 აგვისტოს გამართულ სხდომაზე დამტკიცდა „კანონი საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციისა“, რომლის თანახმად იუნკერთა მოსამზადებლად უნდა დაარსებულიყო სამხედრო სკოლა. სწორედ ეს თარიღი განისაზღვრა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დღედ.

რესპუბლიკის მთავრობამ ახალი სამხედრო სასწავლებლის ჩამოყალიბება დაავალა გენერალ გიორგი კვინიტაძეს, რომლის ძალისხმევით ქართულმა სამხედრო სკოლამ იუნკერთა პირველი

ნაკადი 1919 წლის სექტემბერში მიიღო. აღნიშნულმა სასწავლებელმა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე (1921 წ.) იარსება. კომუნისტური მმართველობის დროს, სამხედრო სკოლა ჯერ წითელარმიელ კურსანტთა სამხედრო სასწავლებლად, შემდეგ კი თბილისის საარტილერიო სასწავლებლად გადაკეთდა და 1991 წლამდე იარსება.

1993 წლის 28 მაისს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის გაერთიანებული სამხედრო აკადემია, რომელმაც მსმენელთა პირველი ნაკადი 1993 წლის სექტემბერში მიიღო. მოგვიანებით სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჯერ თავდაცვის ეროვნული აკადემია, ხოლო შემდგომ, ეროვნული თავდაცვის აკადემია ეწოდა. 2003 წლის 20 თებერვალს სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას დავით აღმაშენებლის სახელი მიენიჭა. 2009 წლიდან, აკადემია ქალაქ გორში განლაგდა.

2010 წელს აკადემიაში რეფორმების ახალი ეტაპი დაიწყო, რომელმაც ოფიცერთა განათლების მთელი სისტემა მოიცვა. ამავე წელს, სამინისტროს გადაწყვეტილებით, აკადემიამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მოიპოვა. აკადემიას მინიჭებული აქვს სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

2014 წლის 28 მაისს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, აკადემიის მსმენელებს, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული იუნკერების ხსოვნის პატივსაცემად, ისტორიული სახელი „იუნკერი“ დაუბრუნდათ.

აკადემიაში შექმნილია მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი განათლების მიღებისთვის ნაყოფიერი და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრებისათვის საჭირო გარემო. აკადემიაში წარმატებით ფუნქციონირებს:

იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა, სამეთაურო-სამტაბო კოლეჯი, უმაღლესი სამეთაურო სკოლა, ენობრივი მომზადების სკოლა, სწავლებების მხარდამჭერის ცენტრი, სპორტისა და ფიზიკური მომზადების სამსახური, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, სამეცნიერო-კვლევითი და დისტანციური სწავლების ცენტრები.

აკადემიას აქვს ბაზა, რომელიც უზრუნველყოფილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, როგორც სამეცნიერო და ტექნიკური, ასევე სამხედრო სწავლებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურით. აკადემიაში ხორციელდება სამხედრო, აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო და სხვადასხვა პროფესიული პროგრამები, რომლებშიც ჩართულნი არიან სამხედრო და ფიზიკური მომზადების ინსტრუქტორები, აკადემიური/მოწვეული პერსონალი. გარდა ამისა, აკადემიაში მიმდინარეობს უცხოური ენების (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, თურქული, რუსული) და ქართული ენის (ეთნიკური უმცირესობებისთვის) ინტენსიური სწავლება.

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში აკადემიის იუნკერები/მსმენელები/აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში და იღებენ ცოდნასა და გამოცდილებას სხვადასხვა მიმართულებით.

აკადემიას უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი პროგრამები აკადემიის იუნკერებისთვისა და აკადემიური პერსონალისთვის.

**ურთიერთთანამშრომლობის
მემორანდუმები:**

- ბალტიის თავდაცვის კოლეჯი
- შვედეთის თავდაცვის კოლეჯი
- ჩრდილოეთ ჯორჯიის უნივერსიტეტი და კოლეჯი
- ლატვიის ეროვნული თავდაცვის აკადემია
- დიდი ბრიტანეთის თავდაცვის აკადემია
- ლიეტუვის სამხედრო აკადემია
- ესტონეთის ეროვნული თავდაცვის კოლეჯი
- რუმინეთის ნიკოლაე ბალჩესკუს სახელობის სახმელეთო ძალების აკადემია

**აკადემიის იუნკერები სრულ საბაკალავრო
პროგრამებზე სწავლობენ შემდეგ
უნივერსიტეტებში:**

- აშშ-ს საჰაერო ძალების აკადემია;
- აშშ-ს სამხედრო აკადემია (West Point);
- აშშ-ს საზღვაო ძალების აკადემია;
- გერმანიის ბუნდესვერის უნივერსიტეტი;
- გერმანიის საჰაერო ძალების სასწავლებელი;
- თურქეთის სახმელეთო ძალების სასწავლებელი;
- თურქეთის საჰაერო ძალების სასწავლებელი;
- საფრანგეთის სენ-სირის სპეციალური სამხედრო სკოლა;
- კანადის სენ-ჟანის სამეფო სამხედრო კოლეჯი

აკადემია ჩართულია „Erasmus+“-ის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებშიც და ამ მიმართულებით სისტემატურად თანამშრომლობს უნგრეთის საჯარო სამსახურის ეროვნულ უნივერსიტეტთან, რუმინეთის, ბულგარეთისა და საბერძნეთის სამხედრო აკადემიებთან.

აკადემია 2013 წლიდან მოყოლებული აქტიურად თანამშრომლობს ნატო-ს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამასთან (DEEP). აკადემიასა და DEEP-ს შორის გაფორმებულია სამოქმედო გეგმა, რომლის განახლებაც ხდება ყოველწლიურად აკადემიის პრიორიტეტებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში მხარდაჭერა მოიცავს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების/კურიკულუმების დახვეწას, პროფესორ-მასწავლებლების გადამზადებას, იუნკერთა მხარდაჭერას, სწავლის მეთოდოლოგიის განვითარებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას.

აკადემიაში სწავლის საფასურს და შემდგომ დასაქმებას უზრუნველყოფს სამინისტრო. გარდა ამისა, აკადემიის იუნკერებს აქვთ ყოველთვიური სტიპენდია საქართველოს თავდაცვის მინისტრის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კრიტერიუმებისა და ოდენობის შესაბამისად.

3. თანამედროვე გამოწვევები

აკადემია, როგორც სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მუდმივად დგას გამოწვევების წინაშე. აკადემიის მიერ ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე, უპირველეს მიზანს წარმოადგენს, აკადემიის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის უზრუნველყოფა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის ძალების მოთხოვნებთან. ასევე, იუნკერებისა და მსმენელებისათვის ისეთი სახის თეორიული და

პრაქტიკული ცოდნის მიცემა, რაც დააკმაყოფილებს თავდაცვის სისტემაში არსებულ საჭიროებებს. გარდა ამისა, აკადემია მუდმივად უნდა იყოს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ მოთხოვნებთან თანხვედრაში.

თანამედროვე მსოფლიოში სწრაფი ცვლილებების ფონზე დღის წესრიგში დგება უმაღლესი განათლების წინაშე მდგარი ახალი გამოწვევების იდენტიფიცირება, მოგვარების გზების ძიება და მიზანმიმართული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება. ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების გამო შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, სულ უფრო აქტუალურია იუნკერზე/მსმენელზე ორიენტირებული, მოქნილი სასწავლო პროცესი. დისტანციურ რეჟიმში განხორციელებული სასწავლო პროცესი გამოწვევის წინაშე აყენებს პრაქტიკული სწავლების განხორციელებისა და შეფასების კომპონენტს.

გამოწვევების კვალდაკვალ, აკადემია გეგმავს კურიკულუმების გადახედვას, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვის შესაბამისი მიდგომებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენებას. ტექნოლოგიური გამოწვევების თვალსაზრისით, აკადემია გააგრძელებს იუნკერთა/მსმენელთა და აკადემიის პირადი შემადგენლობის ციფრული უნარების გამომუშავებისა და განვითარების ხელშეწყობას. ეს გულისხმობს სწავლებისა და მართვის ელექტრონული სისტემების აქტიურ გამოყენებას, დისტანციური სწავლებისა და შეფასების მეთოდების და ღია საგანმანათლებლო რესურსების ათვისებას. ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, აკადემია გააძლიერებს პერსონალის და სტუდენტების საერთაშორისო მობილობისკენ მიმართულ ღონისძიებებს. ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უმაღლესი ხარისხის განათლების პროგრამების შექმნა და განვითარება, რომლებიც ითვალისწინებენ პროფესიების მიმდინარე ტენდენციებს, ინტენსიური საერთაშორისო თანამშრომლობა ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებთან მნიშვნელოვნად გააძლიერებს აკადემიას ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით. აკადემიის ცნობადობის გაზრდისა და მისდამი ნდობის ამაღლების მიზნით, დაწესებულება გეგმავს სამიზნე ჯგუფების ეფექტიან ინფორმირებას მისი საქმიანობისა და მიღწევების შესახებ საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავების, სამიზნე ჯგუფების მიერ აკადემიის საქმიანობის შეფასების მექანიზმების დანერგვით, წარმატებული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების წარმოჩენით, ახალი თუ მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციით. აღნიშნული მიმართულებით, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საერთაშორისო ასოციაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება, რომელიც ხელს შეუწყობს აკადემიის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო ასპარეზზე ადგილის დამკვიდრებასა და ნდობის ამაღლებას.

4. აკადემიის პასუხისმგებლობის სფერო

აკადემია პასუხისმგებელია ოფიცრის საწყისი, შუალედური და აკადემიური უმაღლესი განათლების მიღებისათვის საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაზე, რომელიც გამოიხატება სპეციალური პროფესიული და აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განხორციელებაში.

აკადემიაში სამხედრო განათლება ინტეგრირებულია აკადემიურ განათლებასთან, რაც მოიცავს ბაკალავრიატის დონეზე ოფიცრის საწყისი სამხედრო და აკადემიური უმაღლესი განათლების I საფეხურის, ხოლო მაგისტრატურის დონეზე - ოფიცრის შუალედური სამხედრო განათლებისა და აკადემიური უმაღლესი განათლების II საფეხურის ინტეგრაციას.

აკადემიის ენობრივი მომზადების სკოლა უზრუნველყოფს თავდაცვის სისტემის მოსამსახურეებისთვის უცხო ენების სწავლებას, ასევე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის განხორციელებას, რათა ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას სამინისტროს სისტემაში. გარდა ამისა,

ენობრივი მომზადების სკოლა აქტიურად მონაწილეობს გაცვლით პროგრამებში და ახორციელებს კურსებს პარტნიორი ქვეყნების სამხედრო წარმომადგენლებისთვის.

სამხედრო და აკადემიური განათლების ურთიერთინტეგრირება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ აკადემიის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ჰქონდეს რეალიზება მოახდინოს როგორც თავდაცვის, ასევე უსაფრთხოების სექტორში. სამხედრო განათლების ძირითადი დანიშნულებაა, რომ უზრუნველყოს საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის მაღალი კვალიფიკაციის მქონე ოფიცრების მომზადება.

5. ოფიცერთა პროფესიული აღზრდის ფასეულობები:

ა) საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, აკადემიის, როგორც სამხედრო განათლების ქვაკუთხედის ფუნქციას და უმთავრეს დანიშნულებას მაღალკვალიფიციური, ღირსეული და პროფესიონალი ოფიცერთა კორპუსის მომზადება წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, აკადემია ზრუნავს იუნკერს/მსმენელს შესთავაზოს მაღალი ხარისხის სამხედრო და აკადემიური უმაღლესი განათლება, ეფექტური სწავლისა და სწავლების კონცეფციის გამოყენებით განავითაროს მათი თეორიული ცოდნა თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ხელი შეუწყოს სამხედრო მოსამსახურის კარიერულ განვითარებას;

ბ) ოფიცერთა პროფესიული აღზრდა ეფუძნება:

ბ.ა) მორალურ, ეთიკურ და ინტელექტუალურ განვითარებას;

ბ.ბ) ფიზიკურ აღზრდასა და სოციალური უნარების გამომუშავებას;

ბ.გ) აკადემიურ კეთილსინდისიერებას;

ბ.დ) სამხედრო ლიდერად განვითარებას.

6. აკადემიის SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხეები) ანალიზი

ძლიერი მხარეები

- ერთადერთი სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში;
- მოქმედ ავტორიზაციის/აკრედიტაციის/ნატოს სტანდარტებთან შესაბამისი აკადემიური უმაღლესი/ სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამები;
- იუნკერთა/მსმენელთა სერვისები;
- უცხოელ ექსპერტებთან აქტიური თანამშრომლობა (გარე შეფასება/გამოცდილების გაზიარება, ლექციების ჩატარება);
- ნატო-ს თავდაცვის განათლების განვითარების პროგრამის ფარგლებში (NATO DEEP) მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობა;
- უცხოური ენების შესწავლის ინტენსიური სასწავლო კურსები/საგანმანათლებლო პროგრამები;
- პარტნიორი ქვეყნების სასწავლებლებთან თანამშრომლობა/ერთობლივი პროექტები;
- სწავლის შემდგომი დასაქმების 100%-იანი გარანტია;
- სრული დაფინანსება;
- საუკეთესო ინფრასტრუქტურა (ქ. გორი);
- სამედიცინო დაზღვევა;
- ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხი;
- სტიპენდია;
- აკადემიური კეთილსინდისიერების მოქმედი პოლიტიკა;
- სასწავლო პროცესის მხარდაჭერი ელექტრონული სისტემა;
- ფიზიკური და სამხედრო მომზადება;
- დისციპლინის მაღალი ხარისხი;
- მაღალი ორგანიზაციული კულტურა.

შესაძლებლობები

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და თავდაცვის ძალების ხელმძღვანელობის მხარდაჭერა საქმიანობის განხორციელებაში;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის ძალების მოთხოვნებზე ფოკუსირებული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება;
- დისტანციური სწავლების სისტემის განვითარება;
- უცხოელი და ადგილობრივი მონვეული ლექტორების/სპიკერების არსებობა;
- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის განვითარების შესაძლებლობა;
- კომერციული პროექტების განხორციელების შესაძლებლობა;
- მუდმივად შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემო და სერვისების არსებობა;
- ამოცანით მართვის პრინციპების სწავლება;
- უცხო ენების სწავლების შესაძლებლობების განვითარება;
- საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების განვითარების შესაძლებლობა;
- ფიზიკური მომზადება/სპორტული ღონისძიებები;
- აკადემიის სამხედრო მუზეუმი;
- სოციალური პაკეტების გაუმჯობესება;
- ბიუჯეტის ზრდა;
- სტიპენდიის ზრდა;
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.ო კვლევაზე გამოყოფილი თანხის ნაკლებობა.

სუსტი მხარეები

- კვალიფიციური აკადემიური/დამხმარე პერსონალის შენარჩუნებისა და მოზიდვის პრობლემა;
- აკადემიაში ჩაბარების მსურველთა კლებადი დინამიკა;
- პერსონალის კარიერული განვითარების დასახვეწი პოლიტიკა;
- საერთაშორისოსამეცნიერო კვლევით სივრცეში აქტივობის დაბალი დონე;
- არასაკმარისი დამოუკიდებელი დაფინანსების მიღების წყაროები;
- ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევაზე გამოყოფილი თანხის ნაკლებობა.

საფრთხეები

- აკადემიაში ჩარიცხვის მსურველთა შესაძლო კლების ტენდენცია;
- აკრედიტაციის/ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა;
- ფორსმაჟორული სიტუაციები (ჰანდემიური მდგომარეობა, ბუნებრივი კატაკლიზმები, საომარი მდგომარეობა და ა.შ.).

თავი V სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

1. აკადემია მისი მისიიდან, ხედვიდან და არსებული მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე 2021 - 2027 წლებისთვის ისახავს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს:

- ა) ლიდერის თვისებების მქონე ოფიცრის მომზადება;
- ბ) საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება (სამხედრო/აკადემიური);
- გ) სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ეფექტურად წარმართვა;
- დ) ინტერნაციონალიზაცია;
- ე) იუნკერთა/მსმენელთა სერვისების განვითარება;
- ვ) აკადემიის შესახებ ცნობადობის ამაღლება;
- ზ) ორგანიზაციული მართვისა და კონტროლის განვითარება.

2. ლიდერის თვისებების მქონე ოფიცრების მომზადება

ამოცანა N1		
სამხედრო მომზადების დონის ამაღლება		
ქვეამოცანა	შედეგი	ინდიკატორი
სამხედრო	იუნკერებს გააჩნიათ ცოდნა და	აკადემიური საბჭოს

დისციპლინების შესწავლის ხარისხის გაუმჯობესება	უნარი დაგეგმონ ათეული და ოცეულის დონის ოპერაციები	დადგენილებები, ფოტო მასალა, ჩატარებული ლექციები, მოხსენებითი ბარათები, აღწერის დოკუმენტაცია, ბრძანებები
სამხედრო-პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება	იუნკერი იყენებს ინდივიდუალურად და მცირე ზომის ქვედანაყოფის შემადგენლობაში სამხედრო უნარ-ჩვევებს	

ამოცანა N2
ლიდერის თვისებების განვითარება

ქვეამოცანა	შედეგი	ინდიკატორი
ლიდერად ჩამოყალიბების პროგრამის განვითარება	იუნკერებს შესწევთ უნარი მართონ მცირე ზომის ქვედანაყოფი და კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ გადაწყვეტილებები	აკადემიური საბჭოს დადგენილებები, ჩატარებული ლექციები, შეფასების დოკუმენტები, მოხსენებითი ბარათები, აღწერის დოკუმენტაცია, ბრძანებები, მოქმედების შემდგომი მიმოხილვის დოკუმენტი
ათეულის/ოცეულის დონეზე მართვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება	იუნკერს შეეძლება კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება და ოცეულის დონის ქვედანაყოფის ფარგლებში სხვადასხვა ტიპის სახმელეთო ოპერაციების დაგეგმვა და შესრულება (მართვა/კონტროლი)	
კრიტიკული აზროვნების გამომუშავება	იუნკერს შეუძლია მიღებული ინფორმაციის ანალიზი და ლოგიკური აზრის გამოტანა	

ამოცანა N3
ფიზიკური მომზადება

ქვეამოცანა	შედეგი	ინდიკატორი
საერთო ფიზიკური მომზადების განვითარება	იუნკერები/მსმენელები მზად არიან სამხედრო, ფიზიკურ მომზადებაზე გადასასვლელად, აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს (ნორმატივები)	აკადემიური საბჭოს დადგენილებები, ფოტომასალა, ჩატარებული ლექციები/წვრთნები, მოხსენებითი ბარათები, აღწერის დოკუმენტაცია, ბრძანებები, რაოდენობრივი მონაცემები, შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
სამხედრო ფიზიკური მომზადების განვითარება	უნკერების/მსმენელების მიერ სამხედრო ფიზიკური მომზადების დადგენილი ნორმატივები დაკმაყოფილებულია	

	<p>-----</p> <p>----</p> <p>იუნკერების/მსმენელების მიერ საველე-პრაქტიკულ სწავლებებზე დავალებების შესრულება ხორციელდება სტანდარტების შესაბამისად</p> <p>-----</p> <p>----</p> <p>იუნკერების ფიზიკური მომზადების შედეგები გაუმჯობესებულია</p>	
ინსტრუქტორთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, გამოცდილების გაზიარება უცხოელ პარტნიორებთან	<p>განხორციელდა სპორტისა და ფიზიკური მომზადების სამსახურის ინსტრუქტორების გადამზადება</p> <p>-----</p> <p>----</p> <p>ინსტრუქტორები აკადემიაში იყენებენ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას აკადემიის იუნკერების მომზადებაში</p>	
სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება	<p>სატრენაჟორო დარბაზი ინვენტარით დაკომპლექტებულია, საფეხბურთო მოედანი მოწყობილია, სამხედრო ფიზიკური მომზადებისთვის საწვრთნელი პირობები- ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია</p>	
სპორტული აქტივობების ინტენსიფიკაცია	<p>აკადემიის იუნკერები/მსმენელები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში</p>	

3. საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება

<p>ამოცანა N1 აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება</p>		
ქვეამოცანა	შედეგი	ინდიკატორი

პროგრამების მუდმივი განახლება/განვითარება არსებული სიახლეების შესაბამისად	აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამები აკმაყოფილებს სამინისტროს სისტემის მოთხოვნებს (შრომის ბაზარი)	კვლევის დოკუმენტები, აკადემიური საბჭოს დადგენილებები, თვითშეფასების
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილება	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აკმაყოფილებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებს	დოკუმენტი, წერილები, დასკვნა/დასკვნები, ფოტო მასალა, შეფასების დოკუმენტი, მოხსენებითი ბარათები, შესყიდვის დამდასტურებელი დოკუმენტაცია, აღწერის
სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტების დაკმაყოფილება	აკადემიის სპეციალური პროფესიული პროგრამები აკმაყოფილებს საქართველოს თავდაცვის ძალების მოთხოვნებსა და საჭიროებებს	დოკუმენტაცია, ელექტრონული წიგნების მონაცემთა ბაზა, ბრძანებები
ხარისხის შიდა მექანიზმების განვითარება	შემუშავებულია ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმები	
საგანმანათლებლო პროგრამების (ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების პროგრამები) მუდმივი განახლება არსებული სიახლეების შესაბამისად	აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამები აკმაყოფილებს საქართველოს თავდაცვის ძალების მოთხოვნებსა და საჭიროებებს	
საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება	ჩატარებულია პროგრამების შეფასება	
ხარისხის გარე მექანიზმების განვითარება	განვითარებულია/გაუმჯობესებულია ხარისხის გარე შეფასების მექანიზმები	
პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა	ტრენინგების უზრუნველყოფა და ჩატარება	
აკადემიური სასწავლო სივრცის თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვა	სასწავლო სივრცე აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიით	
ბიბლიოთეკის განვითარება	დახვეწილია ბიბლიოთეკის მუშაობის სისტემა, განახლებულია წიგნადი ფონდი ----- ---	

	განახლებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა	
პროგრამის გარე აქტივობების შეთავაზება იუნკერებისათვის	აკადემიის იუნკრები აქტიურად მონაწილეობენ საქართველოში და უცხოეთში განხორციელებულ საგანმანათლებლო აქტივობებში	

ამოცანა N2
დისტანციური სწავლების სისტემის განვითარება

ქვეამოცანა	შედეგი	ინდიკატორი
დისტანციური კურსების შექმნა	შექმნილია კურსები	კვლევის დოკუმენტი, შესყიდვის დოკუმენტაცია, აკადემიური საბჭოს დადგენილებები, მოხსენებითი ბარათები, ბრძანებები
სწავლების მართვის პლატფორმის ინტეგრირება აკადემიაში	შერჩეული პლატფორმა ინსტალირებულია ----- --- ხდება შერჩეული პლატფორმის გამოყენება	
დისტანციური სწავლების ინტეგრირება საქართველოს თავდაცვის ძალებში	კურსები შექმნილია სამინისტროსთვის ----- --- შესაბამისი სპეციალისტები გადამზადებულია	
მონაწილეობა ნატო-ს პარტნიორობა მშვიდობისათვის (PFP-C) დისტანციური სწავლების სამუშაო ჯგუფის (ADL WG) მიერ დაგეგმილ აქტივობებში	ნატო-ს პარტნიორობა მშვიდობისათვის - ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და მათში ჩართული აკადემიის წარმომადგენლების რაოდენობის ზრდა	

ამოცანა N3
ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება

ქვეამოცანა	შედეგი	ინდიკატორი
აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისური ენების კომპონენტის გაძლიერება	აკადემიაში გაძლიერებულია ინგლისური ენის სწავლების კომპონენტი	აკადემიური საბჭოს დადგენილება, შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია,
ენობრივი მომზადების	გაუმჯობესებულია პედაგოგების	

სკოლაში მიმდინარე სწავლების განვითარება	მომზადების დონე და შენარჩუნებულია კვალიფიციური პერსონალის რაოდენობა ----- --- პროგრამა თავსებადია სამინისტროს ამოცანებთან ----- --- დანერგვითა და დისტანციური სწავლების კურსები მოკლევადიანი სწავლების	მოხსენებითი ბარათები, აღრიცხვის დოკუმენტი, რაოდენობრივი მონაცემები, წერილები
---	--	--

4. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა ეფექტურად წარმართვა

ამოცანა N1 სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა-განვითარება;		
ქვეამოცანა	შედეგი	ინდიკატორი
სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა	გაზრდილია აკადემიის მიერ განხორციელებული კვლევების რაოდენობა	კვლევის დოკუმენტი. აკადემიური საბჭოს დადგენილებები,
ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერა	გაზრდილია კვლევების რაოდენობა ახალგაზრდა მეცნიერების ჩართულობით	გამოქვეყნებული, ჟურნალები, აკადემიის ბიუჯეტი, ფოტო მასალა, მონაცემთა ბაზები, წერილები, შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აკადემიის ვებ-გვერდი,
სამეცნიერო ფონდის ჩამოყალიბება-განვითარება	მოქმედი ფონდის არსებობა, მოზიდულია ფინანსური სახსრები ფონდის განსავითარებლად	განხორციელებული პროექტები-საგრანტო ხელშეკრულებები, რაოდენობრივი მონაცემები
კვლევების კომერციალიზაცია	გაზრდილია აკადემიის ფინანსური რესურსი კომერციული კვლევების შედეგად	
ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი კვლევების განხორციელება	გაზრდილია აკადემიის მიერ მოპოვებული გრანტების და განხორციელებული კვლევების რაოდენობა	

სამეცნიერო პორტალის შექმნა და ეფექტური ფუნქციონირების მხარდაჭერა	მოქმედი სამეცნიერო პორტალი	
პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობის ზრდა	გაზრდილია პარტნიორი ორგანიზაციებისა და განხორციელებული კვლევების რაოდენობა	
კონფერენციების ჩატარება	გაზრდილია აკადემიის მიერ ჩატარებული კონფერენციებისა და კონფერენციებში მონაწილეთა რაოდენობა	
აკადემიის პირადი შემადგენლობის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერა	გაზრდილია აკადემიის პირადი შემადგენლობის აქტივობა კონფერენციებში მონაწილეობის მიმართულებით	
სამეცნიერო პორტალის პოპულარიზაცია	უზრუნველყოფილია აკადემიის სამეცნიერო პორტალის ცნობადობა	

5. ინტერნაციონალიზაცია

ამოცანა N1 საბაკალავრო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია		
ქვეამოცანა	შედეგი	ინდიკატორი
საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და სასწავლო კურსებში აკადემიის პირადი შემადგენლობის მონაწილეობა პროფესიული განვითარებისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის მიღების მიზნით	უცხოეთის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაღრმავება და ახალი კავშირების დამყარება სხვადასხვა შინაარსის მოკლევადიანი/გრძელვადიანი საგანმანათლებლო პროგრამების გაზრდილია	ინფორმაციის ბაზა, რაოდენობრივი მონაცემები, წერილები, ელ-ფოსტები, საგრანტო ხელშეკრულებები, ფოტო მასალა, ბრძანებები, მოხსენებები

აკადემიის მიერ საერთაშორისო ღონისძიებებისა და კონფერენციების ორგანიზება	გაზრდილია აკადემიის მიერ ჩატარებული საერთაშორისო ღონისძიებების რაოდენობა	ბარათები, სტატისტიკური ინფორმაცია, მემორანდუმები, შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აღწერის დოკუმენტაცია
უცხოელი პროფესორების ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში	უცხოელი პროფესორები ჩართულნი არიან აკადემიის საგანმანათლებლო პროცესში	
უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთშეთანხმების მემორანდუმების გაფორმება და ერთობლივი საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების განხორციელება	გახშირებულია ურთიერთობები უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან	
გაცნობითი სახის ვიზიტების დაგეგმვა და აკადემიის შესახებ ინფორმაციის გავრცელება	გაზრდილია აკადემიის ცნობადობის ამაღლების მიზნით ჩატარებული შეხვედრები	

ამოცანა N2
საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელება

ქვეამოცანა	შედეგი	ინდიკატორი
პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა	გაზრდილია პარტნიორ უცხო ქვეყნის სასწავლო დაწესებულებებთან და უნივერსიტეტებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა. გაზრდილია სამუშაო ვიზიტების რაოდენობა პარტნიორ უცხო ქვეყნის სასწავლო დაწესებულებებთან და უნივერსიტეტებთან	წერილები, ბრძანებები, აკადემიური საბჭოს დადგენილება, ფოტო მასალა, მოხსენებითი ბარათები,
ერთობლივი კვლევითი პროექტების, გამოცემების, სამეცნიერო ფორუმების განხორციელება	გაზრდილია პარტნიორ უცხო ქვეყნის სასწავლო დაწესებულებებთან და უნივერსიტეტებთან ერთობლივად განსახორციელებელი აქტივობები	ბრძანებები, სტატისტიკური ინფორმაცია, მონაცემთა ბაზა
პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ჩართულობა Erasmus + ის გრანტის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებში და აკადემიის	Erasmus + ის გრანტის ფარგლებში განხორციელებული პროექტების გაზრდილი მაჩვენებელი ----- - პროექტებში მონაწილეთა გაზრდილი	საგრანტო ხელშეკრულები

პირადი შემადგენლობის მობილობის ხელშეწყობა	რაოდენობრივი მაჩვენებელი	
ამოცანა N3 აქტიური თანამშრომლობის გაგრძელება ნატო სთან		
ქვეამოცანა	შედეგი	ინდიკატორი
სამხედრო განათლების განვითარების (DEEP) დასავლური მეთოდების და ექსპერტების/სპეციალისტების გამოცდილების გაზიარება	გაზრდილია პროგრამის (DEEP) ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების რაოდენობა	წერილები, ელ-ფოსტები, ბრძანებები, სტატისტიკური ინფორმაცია, ფოტო-მასალა, აკადემიური საბჭოს
ნატო-ს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამაში (DEEP) ჩართულობის ინტენსიფიკაცია სასწავლო სილაბუსების პროგრამების მოდერნიზაციის, პროგრამების აკადემიური გადამზადებისა და თანამედროვე მორგებული მეთოდების პროცესში	გაზრდილია ექსპერტების ვიზიტების რაოდენობა ----- DEEP-ს წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ პროგრამების გარე განხორციელებაში ----- განხორციელებულია ერთობლივი ღონისძიებები და გაზრდილია მათი რაოდენობა	დადგენილებები, მოხსენებითი ბარათები, სერტიფიკატები, კვლევის დოკუმენტი
ჩართულობა საქართველოს განვითარების (PDP) ფარგლებში აქტივობებში	ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP)-ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში, აკადემიის გადამზადებულია პროფესიული კუთხით	ჩართულია ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP)-ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში, აკადემიის პერსონალი
ამოცანა N4 სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია		
ქვეამოცანა	შედეგი	ინდიკატორი
საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და არსებული სიახლეების	გაზრდილია პარტნიორი საგანმანათლებლო და დაწესებულებებში და სასწავლო ვიზიტების	წერილები, სტატისტიკური ინფორმაცია,

დანერგვის ხელშეწყობა	რაოდენობა. გაზრდილია უცხოელი პროფესორების რაოდენობა პროგრამის განხორციელების ეტაპზე	ბრძანებები, აკადემიური საბჭოს
იუნკერების მობილობის ხელშეწყობა და აქტივობების დაგეგმვა უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით	სამაგისტრო პროგრამის იუნკერების რაოდენობის ზრდა უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში	დადგენილებები, ფოტო-მასალა, კვლევის დოკუმენტი, სერტიფიკატები
საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს თავდაცვის ძალების საჭიროებების გაზიარების გზით მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში დისტანციური სწავლების ელემენტის დანერგვა	საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების შედეგად აკადემიაში ხორციელდება სამაგისტრო პროგრამა დისტანციური სწავლების ელემენტებით	

6. იუნკერთა/მსმენელთა სერვისების განვითარება

ამოცანა N1 იუნკერთა/მსმენელთა არსებული სერვისების განვითარება		
ქვეამოცანა	შედეგი	ინდიკატორი
იუნკერთა სტიპენდიის გაზრდა	გაზრდილია იუნკერთა სტიპენდია. სტიპენდია გაიცემა ყოველთვიურად	წერილები, ბრძანები, სამედიცინო ჟურნალები, დაზღვევის ბარათები, მიღება-ჩაბარების აქტები, აღრიცხვის ჟურნალები, რაოდენობრივი ინფორმაცია, შესყიდვების დამდასტურებელი დოკუმენტაცია, დებულებები
სოციალური, ჯანმრთელობის მდგომარეობის და ოჯახური პირობების გამო იუნკერთა/მსმენელთა ფინანსური დახმარების სერვისის უზრუნველყოფა	იუნკერები/მსმენელები მათი საჭიროებებიდან გამომდინარე იღებენ ფინანსურ დახმარებებს სოციალური, ჯანმრთელობის მდგომარეობის ანდა ოჯახური პირობების გამო	
სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა	იუნკერები/მსმენელები სარგებლობენ სრულყოფილი სამედიცინო დაზღვევითა და სამედიცინო მომსახურებით	
იუნკერთა/მსმენელთა კვებითი და სანივთე უზრუნველყოფა	იუნკერები/მსმენელები უზრუნველყოფილნი არიან კვებითი და სანივთე	

	საშუალებებით	
იუნკერთა/მსმენელთა მიერ ინიცირებული პროექტების ხელშეწყობა	იუნკერები/მსმენელები ახორციელებენ სხვადასხვა სახის პროექტებს	
იუნკერთა/მსმენელთა საკონსულტაციო სერვისის გაუმჯობესება	გაუმჯობესდა იუნკერთა/მსმენელთა საკონსულტაციო სერვისი	
იუნკერთა/მსმენელთა ნოუთბუქებით/პერსონალური კომპიუტერებით უზრუნველყოფა	ყველა იუნკერს/მსმენელს, როგორც სწავლის პროცესში ისე სწავლის დასრულების შემდგომ აქვთ ინდივიდუალური ნოუთბუქი	
საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების განხორციელება და მათში იუნკერთა/მსმენელთა ჩართულობის ხელშეწყობა	იუნკერთა/მსმენელთა აქტიურად ჩართულნი არიან საგანმანათლებლო და სპორტულ ღონისძიებებში	
დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმები	იუნკერების/მსმენელების 100% დასაქმებულია	

7. აკადემიის შესახებ ცნობადობის ამაღლება

ამოცანა N1 აკადემიის საქმიანობისა და არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა		
ქვეამოცანა	შედეგი	ინდიკატორი
აკადემიის ცნობადობის გაზრდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე კავკასიის რეგიონის მასშტაბით და საერთაშორისო დონეზე	გაზრდილია აკადემიის ცნობადობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ, მათ შორის კავკასიის რეგიონის მასშტაბით არსებულ სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში	წერილები, პატაკები, ბრძანებები, მოხსენებითი ბარათები, ფოტო-მასალა, ვებ-გვერდები, სარეკლამო ვიდეო-რგოლი
აკადემიის ინტერნეტ და მედია სივრცეში პოპულარიზაცია	აკადემიის შესახებ ინტერნეტ და მედია სივრცეში განთავსებულია ინფორმაცია აკადემიის შესახებ	წერილები, პატაკები, სარეკლამო ვიდეო რგოლები სამინისტრო და აკადემიის ოფიციალური ვებ-გვერდები, სოციალური ქსელები სამინისტროსა და აკადემიის ოფიციალური

		ვებ-გვერდები აკადემიის ოფიციალური ვებ-გვერდი
აბიტურიენტთა სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა, რომელიც ძირითადად ორიენტირებული იქნება დამამთავრებელ (მე-10 და მე-11) კლასებზე	აკადემიის შესახებ ცნობადობა ამაღლებულია დამამთავრებელ კლასებში და ბოლო მეთორმეტე კლასში აბიტურიენტები ემზადებიან იმ პროგრამებისთვის, რომელიც მოქმედებს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში	აკადემიის ვირტუალური ტური, აკადემიის სარეკლამო ვიდეო-რგოლი, აკადემიაში მიღების პირობები, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდებზე

8. ორგანიზაციული მართვისა და კონტროლის განვითარება

ამოცანა N1 ადამიანური რესურსების განვითარება		
ქვეამოცანა	შედეგი	ინდიკატორი
ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციის განხორციელება	აკადემიაში დამტკიცებულია და სრულდება ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია	ბრძანებები, აკადემიური საბჭოს დადგენილებები, წერილები, პატაკები, მოხსენებითი ბარათები, კვლევის დოკუმენტი, რაოდენობრივი მონაცემები
სამოქალაქო მოსამსახურეთა (გარდა აკადემიური პერსონალისა) სამუშაო ანალიზის ჩატარება		
სამოქალაქო მოსამსახურეთა (გარდა აკადემიური პერსონალისა) სამუშაო აღწერილობების შექმნა/დამტკიცება		
სამოქალაქო მოსამსახურეთა (გარდა აკადემიური პერსონალისა) თანამდებობების ფარდობითი ღირებულების დადგენა		
კონცეფციის შესრულების მონიტორინგი		
იუნკერთა/მსმენელთა კონტიგენტის დაგეგმვის წესის შექმნა	დამტკიცებულია იუნკერთა/მსმენელთა კონტიგენტის დაგეგმვის წესი	
სამუშაო შეხვედრები		

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან და საქართველოს თავდაცვის ძალებთან		
პირადი შემადგენლობის საჭიროებების კვლევა	განხორციელებულია საჭიროებების კვლევა	
განხორციელდება ტრენინგები, ვორქშოპები, სემინარები, კონფერენციები	აკადემიის პირადი შემადგენლობა სარგებლობს პროფესიული განვითარების ხელშეწყობით	
უმადლეს საგანმანათლებლო სივრცეში კონკურენტუნარიანი ანაზღაურების განსაზღვრა	აკადემიაში მოზიდულია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი	
საგრანტო პროექტების განხორციელებაში მხარდაჭერა	შექმნილია საგრანტო პროექტების მხარდაჭერის შიდა სისტემა	

ამოცანა N2
მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განვითარება

ქვეამოცანა	შედეგი	ინდიკატორი
ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმის შემუშავება	დამტკიცებულია აკადემიის ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა	ბრძანებები, წერილები, პატაკები, მოხსენებითი ბარათები, ხელშეკრულებები, აკადემიური საბჭოს დადგენილებები
ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმის დამტკიცება		
დაცვის ოცეულის საყარაულო და საცხოვრებელი შენობის მოწყობა	აკადემიის ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია	
აკადემიაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულება		
აკადემიის ტერიტორიაზე ავტოპარკის მოწყობა		
აკადემიის შენობა-ნაგებობების გარე ფასადებისა და გადახურვის სისტემების რემონტი		
კონდიციონერების სისტემების გაუმჯობესება და სრულყოფა;		

აკადემიის ბაზაზე სასტუმროს მოწყობა		
აკადემიის ბაზაზე სარწყავი სისტემის მოწყობა		
აკადემიის ბაზაზე ლოჯისტიკური საწყობების მოწყობა, რემონტი და სტანდარტიზაცია		
ალტერნატიული ელ. მომარაგების (გენერატორი)წყაროს შექმნა/მონტაჟი საქვების განახლება		
წყლის სისტემების მოწესრიგება		
ტაძრის ტერიტორიის მოწყობა		
თანამედროვე სტანდარტების და უსაფრთხოების მქონე მსუბუქი, მსუბუქი მაღალი გამავლობის, მაღალი გამავლობის სატვირთო და სპეციალური ავტოტექნიკის შესყიდვა/მიღება	აკადემიის განახლებულია	ავტოპარკი
ვიდეოკამერების ექსპლუატაცია (აკადემიაში არსებული კამერების აიპი კამერებით ჩანაცვლება ეტაპობრივად)	აკადემიის ვიდეო განახლებულია	კამერები
ორგტექნიკის ექსპლუატაცია (კომპიუტერებისა და პროექტორების მაღალი მონაცემებისა და სიმძლავრის ტექნიკით ჩანაცვლება)	აკადემიის განახლებულია	ორგტექნიკა
ამოცანა N3		
ფინანსური რესურსების განვითარება		
ქვეამოცანა	შედეგი	ინდიკატორი
სამინისტროსთან კოორდინაციით შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება სხვა შესაბამისი დოკუმენტების მომზადება	გაუმჯობესებული ფინანსური მართვა და კონტროლი, გამყარებული შესაბამისი დოკუმენტებით განახლებული და დახვეწილი კომპიუტერული	ბრძანებები, წერილები, პატაკები, მოხსენებითი ბარათები, ხელშეკრულებები, აკადემიური საბჭოს

აღრიცხვის თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების, პერიოდული განახლება და დახვეწა	პროგრამები	დადგენილებები
აკადემიის ფართის ქირითა და იჯარით გაცემა	გაზრდილია აკადემიის ფინანსური სახსრები	
მატერიალური-ტექნიკური ბაზის გაქირავება		
ფასიანი სასწავლო კურსების შექმნა		
პროგრამების ანალიზის ექსპერტთა ინტენსიფიკაცია		

თავი VI. შეჯამება

2021-2027 წწ. განვითარების სტრატეგია განსაზღვრავს აკადემიის იმ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებსა და საქმიანობის სფეროს, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს სამინისტროს სისტემისათვის განათლებული, პროფესიონალი, ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსის მომზადება. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პერიოდში მოხდა აკადემიის შესაძლებლობებისა და რესურსების ხელახალი შეფასება. არსებული რესურსებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე განისაზღვრა დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნები და მათი განხორციელებისათვის საჭირო გზები, რომლებიც თანხვედრაში მოდიან აკადემიის მისიასთან და ხედვასთან.

აკადემიაში მიღებული ცოდნის შემდგომ კურსდამთავრებულები დააკმაყოფილებენ საქართველოს თავდაცვის ძალებისა და სამინისტროს მოთხოვნებს, ხოლო მათ მიერ მიღებული მაღალი ხარისხის სამხედრო და აკადემიური ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები დიდ როლს ითამაშებს მათ სამომავლო წინსვლასა და კარიერულ განვითარებაში.

თავი VII. სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2021-2023 წ.წ.)

აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც არსებული მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე 2021 - 2023 წლებისთვის ისახავს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს:

- ა) ლიდერის თვისებების მქონე ოფიცრის მომზადება (N1 დანართი);
- ბ) საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება (სამხედრო/აკადემიური) (N2 დანართი);
- გ) სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ეფექტურად წარმართვა (N3 დანართი);
- დ) ინტერნაციონალიზაცია (N4 დანართი);
- ე) იუნკერთა/მსმენელთა სერვისების განვითარება (N5 დანართი);
- ვ) აკადემიის შესახებ ცნობადობის ამაღლება (N6 დანართი);
- ზ) ორგანიზაციული მართვისა და კონტროლის განვითარება (N7 დანართი).